

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

მანანა ბერუაშვილი

**კულტურათაშორისი ურთიერთობების როლი გლობალური
ბიზნესის განვითარებაში**

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

სადოქტორო პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება; შიფრი - 02

თბილისი

2016

დისერტაცია შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ასოცირებული პროფესორი:

/შ. ვეშაპიძე/

რეცენზენტები: -----

დისერტაციის დაცვა შედგება 2016 წლის ----- ივნისს, ---- საათზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის სხდომაზე.

მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ხოლო ავტორეფერატის – სტუ-ს ვებ-გვერდზე.

სადისერტაციო საბჭოს მდივანი

ფილოსოფიის დოქტორი,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

პროფესორი:

/ს. ხიზანიშვილი/

Summary

The work discusses the changed constituents of globalization and international business environment as well as cultural differences and their priorities for the convergence of international business. It discusses cross-cultural Integratiin and cross-cultural development of international business, in which the emphasis is placed on the importance and role of social-cultural environment in the global business. In the introduction of the research theme, there are well-founded the problem, its goals and objectives, theoretical and practical importance of a topic. At the end of the presentation was also made the literature review.

The paper analyzes that somewhat diminished the the role of the individual states in the global international system but the fact remains that at the same time, in fact, impossible to separate from everyone, country in the world today. Especially problems are facing small countries - they should be able to keep their own identity and cultural traditions as well as to find their places in the international system.

Reviewing the process of globalization of the modern trends show that the capitalistic economic system is still functioning, but in contrast to the situation 20-30 years ago, it is now almost the whole world is capitalistic. Technology has changed, moreover, a real digital revolution accrued. Transnational organizations activities are closely linked to the political, social and cultural aspects of globalization. Also proved that the most acute problem is the impact of globalization on international business development.

The author states that the cultural differences have ability to overthrow the disagreement, as well as bring great benefits. International Business progress define the new requirements of the labor concerted action. As well as cultural values, such as labor and labor thriftiness can affect human motivation, which may explain that the different nations are in different levels of development. The paper shows that the results of multicultural interaction are mixed, the evaluation criteria are different. Each culture has a whole protection system mechanism, which protects it from exposure to other cultures.

In Georgia business culture, compared with the Western civilized world has rudimentary shape. The economic reasons for this lag period from the countries of the world we can find in separation. Businesses found to be incompatible with Communist ideology, which is why he is persecuted, and entrepreneurs were subjected to repression. Modern business culture began to revive after the country's independence in the 20th century from the the end of 80th. Georgian studies on business deals with the basic elements of corporate culture. In addition, it is studied important issues, which are currently the main focus of international business development.

The article deals with the peculiarities of the organizational culture of the business, the business environment and cross-cultural aspects of the national-cultural models. As far as our interest is the research of socio-cultural environment in international business, the paper analyzed the characteristics of the cultures of different countries. It also features a cross-cultural aspects of international business, such as business ethics and etiquette, and differences between people, communication features which allows us to understand the reasons for cultural differences.

Studied the role of intercultural communication in international business, in particular, it's possible implementation of semantic, organizational, interpersonal, individual, economic, geographical and time barriers, problems of distribution networks and channels, and technological barriers to overcome their ways. As a result of this discussion, it is clear that the organization's management concept should be directed to the heads of the increase subordinates, customers, and supplier's communication duration. Improving communications between these groups develops much more informal communications which turns into an incentive management process and plays an important role in the success of the organization. There is also analyzed the impact of the new business culture and organizational culture of social capital formation and the characteristics of the emerging economies.

Discussed the socio-cultural environment and business management features, clustering cultures, transforming organizational culture orientations and finally, analyzed the socio-cultural environment aspects of globalization in Georgia.

At end of the work given conclusions and recommendations which, in our view, is an important and significant in order to properly assess and manage socio-cultural environment of international business.

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

საკვლევი თემის აქტუალობა: დღევანდელმა მსოფლიო წესრიგმა და გლობალიზაციამ მსოფლიო ეკონომიკაში საერთაშორისო ბიზნესის წამყვანი როლი და მნიშვნელობა განაპირობა. გლობალიზაციამ შექმნა პირობები უფრო ინტენსიური კავშირებისა და თანამშრომლობისათვის. ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში მსოფლიო უფრო გახსნილი გახდა, რამაც გაზარდა საერთაშორისო ბიზნესის შესაძლებლობები.

გლობალიზაცია ერთმანეთთან მჭიდროდ აკავშირებს ცალკეულ ინდივიდებსა და საწარმოებს, ამსხვრევს ხელოვნურად შექმნილ პოლიტიკურ ბარიერებს, მეტ ეკონომიკურ თავისუფლებას აძლევს ადამიანებს, რათა მათ საკუთარი უნარები წარმატებულ საერთაშორისო ბიზნეს საქმიანობაში გამოიყენონ.

გლობალურ გარემოში მეტად მნიშვნელოვანია საერთაშორისო ბიზნესის თითოეული მონაწილის წვლილი, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება საერთაშორისო ბიზნესსა და მეწარმეობაში, მის ეფექტურობას კი მისი სოციოკულტურული გარემო განსაზღვრავს. რაც უფრო მეტი სარგებელი მოაქვს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, მით უფრო მეტ რესურსებს, დაკვეთებსა და მოგებას იღებს არა მხოლოდ საწარმო, არამედ მთლიანად საზოგადოება.

გამომდინარე იქიდან, რომ თანამედროვე საზოგადოების წარმატებული ფუნქციონირება დიდად არის დამოკიდებული შესაბამისი ტრადიციული წინაპირობების არსებობაზე, თანამედროვე სისტემაში მათ ჩართვასა და გამოყენებაზე ამ მხრივ დღეისათვის საერთაშორისო საწარმოთა მმართველობით სისტემაში არსებული პრობლემების გამომწვევ მიზეზთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ორგანიზაციების სოციოკულტურული გარემოს თავისებურებებისა და არსებული პრობლემების გამოვლენა.

გლობალურ სამყაროში საერთაშორისო ბიზნესის წარმატებები დამოკიდებულია პარტიორებთან ურთიერთობის ხასიათზე, საქმიანი კავშირების

დამყარებაზე, პარტნიორების მოტივაციის გაგებისა და მათზე საჭირო შთაბეჭდილების მოხდენაზე.

აქედან გამომდინარე, აქტუალურია ბიზნესის სულ უფრო მზარდ ტრანსნაციონალიზაციასა და გლობალიზაციასთან დაკავშირებით სრულიად განსხვავებული კულტურებისა და მსოფლმხედველობის მქონე ინდივიდთა ჯგუფების მოქმედების კოორდინაციის პრობლემა.

საკვლევი თემის მიზანი და ამოცანები. რამდენადაც ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს საერთაშორისო ბიზნესის სოციოკულტურული გარემოში არსებული პრობლემები და მათი დადებითად გადაწყვეტილების მოძიება, აუცილებლად მივიჩნით სოციალურად გაზიარებული კულტურების სხვადასხვა ელემენტების ბიზნესზე ზეგავლენის, სხვადასხვა ქვეყნებში აპრობირებული მიდგომების შესწავლა და ანალიზი, ჩვენი აზრით იგი ხელს შეუწყობს საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების გააზრებასა და ანალიზს.

უდავოა, რომ საერთაშორისო ბიზნესის განვითარებისათვის საჭიროა, როგორც ორგანიზაციული კულტურის თავისებურებების, ასევე კულტურათშორისი კომუნიკაციების დამყარება და განვითარება. კულტურა, ადამიანებს შორის კომუნიკაციის პროცესის ერთ-ერთი ნაწილია და თუ ეს გაცვლა წარმატებულია, ურთიერთობები უფრო მყარი და მომგებიანია ყველა მხარისათვის.

გამომდინარე აქედან, კვლევის მიზნად დავისახეთ სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლების თავისებურებათა შესწავლა. გავაანალიზეთ და შევადარეთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების (ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, მექსიკის, გერმანიის, ჩინეთის და ა.შ.) საქმიანი ურთიერთობების კულტურები.

კვლევის მეცნიერული სიახლე. ნაშრომში კომპლექსურად გამოკვლეულია კულტურათშორისი ურთიერთობების როლი გლობალური ბიზნესის განვითარებაში, განსაკუთრებით, საერთაშორისო ბაზრებზე, სადაც ბიზნეს სუბიექტები მრავალფეროვან სოციოკულტურულ გარემოს თავისებურებებს აწყდებიან;

დასაბუთებულია, რომ საერთაშორისო სოციოკულტურული გარემო კომპლექსური ფენომენია და ამიტომ მისი შესწავლა სისტემურ მიდგომას მოითხოვს, რათა ცალკეულმა ბიზნესსუბიექტებმა ზუსტად განსაზღვრონ როგორი ბიზნესპოლიტიკა განახორციელონ მოცემულ კონკრეტულ ქვეყანაში წარმატების მისაღწევად.

ჩამოყალიბებულია კროსკულტურის როლი და მნიშვნელობა გლობალურ სივრცეში ახალი ბიზნესის წამოწყების საქმეში, რაც შესაძლებელია კულტურული ასპექტების იდენტიფიცირებით, რომლებიც გავლენას ახდენს გლობალური ბიზნესის ფორმირებაზე.

გამოკვეთილია ავტორისეული აზრი რელიგიის როლის შესახებ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. იმის გათვალისწინებით, რომ რელიგია, ზოგადად, დადებითად აისახება ადამიანების პიროვნულ თვისებებსა და ყოფა-ცხოვრებაზე, საქართველოს, კერძოდ კი მართლმადიდებლური რელიგიის მაგალითზე ჩატარებულია კვლევა იმის გამოსავლენად თუ რამდენი დრო სჭირდება მორწმუნეს საეკლესიო ტრადიციებისა და წესჩვეულებების აღსასრულებად და ამის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა.

საკვლევი თემის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ დღევანდელ გლობალურ გარემოში ორგანიზაციული კულტურა წარმოადგენს ადამიანური რესურსების მართვის მძლავრ ინსტრუმენტს და მისი მიზანია მომუშავეთა მიმართვა მათ წინაშე მდგომ ამოცანებზე, მათი ინიციატივის მობილიზება, ორგანიზაციისადმი ერთგულებისა და ადამიანებს შორის წარმატებული ბიზნესურთიერთობების დამყარების უზრუნველყოფა.

საერთაშორისო მეწარმეობაში ორგანიზაციული კულტურა გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. ეს განპირობებულია ისტორიული, ეთნიკური, გეოგრაფიული და სხვა ფაქტორებით გამოწვეული ეროვნული კულტურების განსხვავებულობებით, რომელთა შესწავლის გარეშე შეუძლებელია თანამედროვე საერთაშორისო ბიზნესის განვითარება გლობალურ სამყაროში.

საკვლევი თემის მოცულობა და სტრუქტურა. ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 164 გვერდს და შედგება შესავლის, სამი თავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის სიისაგან.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

წარმოდგენილი ნაშრომი ეხება გლობალიზაციისა და საერთაშორისო ბიზნესის გარემოს შეცვლილ შემადგენლებს, ასევე კულტურათაშორის განსხვავებებსა და მათი დაახლოების პრიორიტეტებს საერთაშორისო ბიზნესში. მასში განხილულია კულტურათაშორისი ინტეგრირება და საერთაშორისო ბიზნესის კროსკულტურული განვითარება, რომელშიც ხაზი ესმება სოციოკულტურული გარემოს მნიშვნელობასა და როლს საერთაშორისო გლობალურ ბიზნესში.

ნაშრომში გაანალიზებულია, რომ გლობალურ საერთაშორისო სისტემაში გარკვეულწილად კნინდება ცალკეული სახელმწიფოების როლი, მაგრამ, ისიც ფაქტია, რომ ამავე დროს, ფაქტობრივად, წარმოდგენილია ყველასგან განცალკევებული, იზოლირებული ქვეყნის არსებობა დღევანდელ მსოფლიოში. განსაკუთრებით რთული პრობლემების წინაშე დგანან პატარა ქვეყანები, რადგან მათ უნდა შეძლონ საკუთარი თვითმყოფადობისა და კულტურული ტრადიციების შენარჩუნებაც და საერთაშორისო სისტემაში სათანადო ადგილის დამკვიდრებაც.

საკვლევი თემის შესავალ ნაწილში დასაბუთებულია ნაშრომში დასმული პრობლემის აქტუალობა და მისი მიზნები. დასახული მიზნის მისაღწევად მოცემულია შესასრულებელი ამოცანები და გაანალიზებულია თემის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. შესავალი ნაწილის ბოლოს კი მოცემულია კვლევისას გამოყენებული ლიტერატურის მიმოხილვა.

ნაშრომის პირველ თავში „გლობალიზაცია და საერთაშორისო ბიზნესის გარემოს შეცვლილი შემადგენლები“, რომელიც მოიცავს ოთხ ქვეთავს, განხილულია გლობალიზაციის, არსი და მისი ძირითადი თეორიები;

მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესები; საერთაშორისო ბიზნესის გლობალიზაციის წინაპირობები და გლობალიზაციის განვითარების თანამედროვე ტენდენციები. აღნიშნული თავის ბოლოს კი გაანალიზებულია გლობალიზაციის გავლენა საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებზე.

აღნიშნული თავის პირველი ქვეთავი დათმობილი აქვს გლობალიზაციის არსის განმარტებასა და მისი თეორიების ანალიზს.

დღეს მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესი გულისხმობს ერთიანი მსოფლიო საზოგადოების ჩამოყალიბებას, რაც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს (პოლიტიკა, კულტურა, ეკონომიკა, სოციალური პირობები, ეკოლოგია) ეხება და გაერთიანების, შერწყმის სინონიმად არის ქცეული. თავის მხრივ, გლობალიზაცია რთული და წინააღმდეგობრივი, ძალზე ფართო და მრავალმხრივი პროცესია და, გამომდინარე აქედან, იგი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პატარა ქვეყნებზე.

გლობალურ საერთაშორისო სისტემაში გარკვეულწილად კნინდება ცალკეული სახელმწიფოების როლი, მაგრამ, ისიც ფაქტია, რომ ამავე დროს, ფაქტობრივად, წარმოუდგენელია ყველასგან განცალკევებული, იზოლირებული ქვეყანის არსებობა დღევანდელ მსოფლიოში. განსაკუთრებით რთული პრობლემების წინაშე დგანან პატარა ქვეყანები – მათ უნდა შეძლონ საკუთარი თვითმყოფადობისა და კულტურული ტრადიციების შენარჩუნება და საერთაშორისო სისტემაში სათანადო ადგილის დამკვიდრებაც.

გლობალიზაციის დადებით მხარეს წარმოადგენს ის, რომ მისი სხვადასხვა ასპექტი პატარა ქვეყნებს აძლევს საშუალებას თავიანთი კულტურა და ეროვნული ტრადიციები მთელს მსოფლიოს გააცნონ, რაც მათი ეკონომიკური პროდუქტიულობის ზრდის ხელშემწყობის პირობა შეიძლება აღმოჩნდეს.

გლობალიზაციის შესახებ სამეცნიერო წრეებში შექმნილი თეორიები ისეთივე სწრაფი ტემპით ვითარდება, როგორც თავად გლობალიზაციის პროცესი, რომელიც დამყარებულია ადამიანთა, უფრო სწორად, სხვადასხვა საზოგადოებათა ურთიერთობაზე.

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში შეიძლება გამოვყოთ შემდეგი თეორიები: მსოფლიო სისტემათა თეორია; მსოფლიო კულტურის თეორია; მსოფლიო მართვის თეორია; გლობალური კაპიტალიზმის თეორია.

მსოფლიო სისტემათა თეორიის – World System Theory – მომხრეები ამტკიცებდნენ, რომ თანამედროვე მსოფლიო სისტემა სახელმწიფოს ანუ რაიმე პოლიტიკურ-სამართლებრივი წარმონაქმნის ფარგლებს სცილდება და მრავალგვარი კულტურული სისტემის თანაარსებობის დაშვების პირობებში შრომის საერთო დანაწილებას ეყრდნობა. ამასთან, მის შემადგენლებს შორის კავშირები ძირითადად ეკონომიკური ხასიათისაა.

აღნიშნული თეორიის მიხედვით, თანამედროვე მსოფლიო სისტემა, თავისი სოციალურ-ეკონომიკური ბუნებით, კაპიტალისტურად ითვლება და მის მამოძრავებელ ძალას ექსპლუატაციაზე დამყარებული კერძო კაპიტალის დაგროვება წარმოადგენს, რომლისთვისაც კომერციალიზაცია ანუ დოვლათის, მომსახურების, მიწისა და შრომის გასაყიდ საქონლად გადაქცევის ტენდენცია ახასიათებს. აქვე უნდა ითქვას, რომ მსოფლიო კაპიტალისტურ სისტემას სულაც არ აქვს მარადიული ხასიათი და ის შეიძლება სხვა მსოფლიო სისტემითაც შეიცვალოს. დღესდღეობით ეს სისტემა კრიზისშია, თუმცა ჯერ კიდევ არაა განსაზღვრული რა მიმართულებით მოხდება ცვლილებები. ამის შესახებ საინტერესოა აღნიშნული თეორიის ფუძემდებლის ი. ვალერსტაინის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, თანამედროვე მსოფლიო მეურნეობა განიცდის გარდამავალ პერიოდს. მისი აზრით, ერთი სისტემიდან მეორეზე გადასვლა ისეთი წინააღმდეგობრიობათა გზით ხდება, რომელთა დაძლევა შეუძლებელია სისტემის შიგნით. ესაა კონფლიქტებისა და უწესრიგობათა გაძლიერების გამწვავების პერიოდი, რომელიც ზნეობრივი ფასეულობების მსხვრევის ფონზე მიმდინარეობს.

მსოფლიო კულტურის თეორია – World Coulture Theory – მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ტერმინ „გლობალიზაციის“ გაჩენა ამ თეორიის დამფუძნებლის სახელს უკავშირდება, იგი ჯერ კიდევ არ წარმოადგენს შემდგარ სამეცნიერო სკოლას, თუმცა ეს თეორია

რამდენიმე ფუძემდებლურ პრინციპს მოიცავს, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ გლობალიზაციის ბუნების კვლევისას პრიორიტეტი ენიჭება კულტურას და ძირითად საკითხად მიიჩნევა ინდივიდისა და ეროვნული იდენტობის გადარჩენის გზები გლობალური კულტურის ფორმირების პირობებში.

მსოფლიო კულტურის თეორიის მიხედვით გლობალიზაციის ხსნა კონცენტრირებულია იმ საკითხებზე, თუ როგორ ესმით პროცესის მონაწილეებს „გლობალური დასახლება“ და რა მნიშვნელობას ანიჭებენ მასში ცხოვრებას. ამ თეორიის მიხედვით, გლობალიზაციის პირობებში ეროვნული სახელმწიფო ექვემდებარება ისეთ უნივერსალურ სტანდარტებს, რომლებიც სათავეს იღებს კაცობრიობის ზოგად ცნებებში. გამომდინარე აქედან, იზრდება ურთიერთკავშირი სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეთა შორის და, ამასთანავე, საერთაშორისო პოლიტიკის სფეროში ჰუმანიტარული პრინციპების გავრცელება არა მარტო მოქალაქეთა, არამედ პოლიტიკათა შორის ურთიერთკავშირის ზრდას განაპირობებს.

მსოფლიო კულტურის თეორიის მომხრეთა აზრით, გლობალიზაცია ქმნის საერთო კულტურას, რომელშიც თითოეული იცავს ერთსა და იმავე ფასეულობას და რწმენას, თუმცა იგი წარმოშობს იდეათა და საერთო სტანდარტთა გლობალურ არსენალს, რომელთა გამოყენება, გარკვეული მიზნების მისაღწევად, შერჩევით არის შესაძლებელი.

მსოფლიო მმართველობის თეორია – World Polity Theory – მმართველობის უნივერსალურ პრინციპებს ეფუძნება და გლობალური საზოგადოების ფორმირების პროცესს შეისწავლის. აქ მმართველობა „გლობალური საზოგადოების“ ყველა მონაწილის (ინდივიდების, სამოქალაქო საზოგადოების, მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების) მიერ ჩამოყალიბებულ ერთობლივ ფასეულობათა შექმნის სისტემებად აღიქმება და ეს სისტემები მმართველობის გლობალურ მოდელებში ვლინდება. რაც შეეხება გლობალიზაციას, ამ თეორიაში იგი განიხილება როგორც საყოველთაო ფასეულობათა (პროგრესი, პირადი დამოუკიდებლობა და უფლებები, სახელმწიფო სუვერენიტეტი და სხვ.) ზრდა და კანონიერი გზით მათი ყველგან დამკვიდ-

რება. ამავე თეორიის თანახმად, მრავალფეროვან მსოფლიოში გლობალიზაცია აზროვნებისა და მოქმედების საერთო მოდელებს უზრუნველყოფს.

გლობალური კაპიტალიზმის თეორიის – Global Capitalism Theory – მომხრეებს თანამედროვე მეცნიერთა გარკვეული ნაწილი განეკუთვნება, რომელთა აზრით, გლობალიზაციის სათავე თვით კაპიტალისტური სისტემის წიადიდან მომდინარეობს, რომელიც ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ-იდეოლოგიურ სფეროებში არსებულ ტრანსნაციონალურ მექანიზმებს შეიცავს. ტრანსნაციონალური კორპორაციები, რომლებიც გლობალურ საქმიან ელიტას წარმოადგენენ ეკონომიკურ სფეროში მთავარ ინსტიტუტად გვევლინება; პოლიტიკურ სფეროში – კაპიტალისტურის ტრანსეროვნული ელიტა, ხოლო კულტურულ-იდეოლოგიურში – კონსიუმერიზმისა და ტრანსეროვნული ნეოლიბერალიზმის იდეოლოგია, რომლის პროპაგანდასაც გლობალური კულტურული ელიტა ეწევა.

აღნიშნული თეორიის მომხრეები გლობალიზაციის ეკონომიკურ ძალებად მოიაზრებენ არა მხოლოდ ტრანსეროვნული კაპიტალის მქონე გლობალურ ტეკ-ებს, არამედ საერთაშორისო კაპიტალის მფლობელ საერთაშორისო ორგანიზაციებსა (მაგალითად, მსოფლიო ბანკი) და სახელმწიფო კაპიტალის მფლობელ სახელმწიფო ტეკ-ებს, არამედ აგრეთვე სახელმწიფო ტეკ-ებსაც, ხოლო გლობალურ პოლიტიკურ ელიტად ისინი გაეროს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, გლობალურ საქმიან ორგანიზაციებს, მსოფლიოს, პოლიტიკურ პარტიებსა და ინტეგრაციულ დაჯგუფებებს მიიჩნევენ.

საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ზემოთ ჩამოთვლილ თეორიათაგან თითოეულს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

პირველი თავის მეორე ქვეთავში ზოგადად განხილულია გლობალიზაციის მიმდინარე პროცესები და გამოყოფილია მისი ძირითადი ასპექტები: პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული გლობალიზაციები.

ამავე თავის მესამე ქვეთავში კი განსაზღვრულია ბიზნესის გლობალიზაციის პროცესის განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორები და მისი განვითარების ტენდენციები.

მსოფლიოში ბოლო პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა, კერძოდ კი, მოგზაურობის გაიოლებამ, ხალხი უფრო მობილური, კულტურები და ქვეყნები კი ნაკლებად უცხონი გახადა და კომუნიკაციების გაიოლებამ მსოფლიო კულტურათა განვრცობა გამოიწვია. ამ პროცესს ხელი შეუწყო კომპიუტერული ტექნოლოგიების, სატელიტური ტელევიზიებისა და „პოპ-კულტურის“ ინერნაციონალიზაციამ.

მსოფლიო ომების შემდეგ მსოფლიო მმართველობის იდეამ ისევ სასიცოცხლო ძალა შეიძინა. საჭირო გახდა ისეთი ინსტიტუტები და წესები, რომლებიც ომის შემდგომ მსოფლიოში საერთაშორისო და ფულად-საკრედიტო სისტემებს გააკონტროლებდნენ, მათ ასევე უნდა მოესპოთ ყოველგვარი ავთარკიული და პროტექციონისტური პოლიტიკა. სწორედ ამიტომ მსოფლიო ეკონომიკის რეგულირებისათვის დაარსდა სამი ახალი ინსტიტუტი: 1.საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF); 2. ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმება (GATT) და 3. მსოფლიო ბანკი (WB), რომელთა დაარსება და გაწევრიანებული ქვეყნების სიმრავლე თავისთავად მიანიშნებდა იმას, რომ ეკონომიური პოლიტიკის მართვა-გაკონტროლება გლობალურად მოხდებოდა და მას მსოფლიო მთავრობა ჩაუდგებოდა სათავეში. 1945 წელს GATT-ის ნაცვლად მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) დაარსებამ ეს ტენდენცია კიდევ უფრო გაამძიერა და ეკონომიკური გლობალიზაციის დაჩქარებულ წინსვლას შეუწყო ხელი.

პირველი თავის ბოლო, მეოთხე ქვეთავში გაანალიზებულია მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პროცესების გავლენა საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებზე.

გლობალური ეკონომიკის თავისებურება ისაა, რომ არცერთ სახელმწიფოს, მიუხედავად წარმოების ფაქტორების უზრუნველყოფის დონისა არ შეუძლია ეკონომიკური განვითარება ეკონომიკური ავტარკიის პირობებში. ე.ი. საზღვრები უფრო გამჭვირვალე ხდება არა იმდენად პოლიტიკოსთა სურვილის გამო, რამდენადაც თანამედროვე კვლავწარმოების პროცესის ლოგიკის ძალით.

საქართველოში გლობალიზაციისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო საქონლისა და მომსახურების საშინაო ბაზრის გახსნა, უცხოური კაპიტალის შემოსვლისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში, ინტეგრაციულ გაერთიანებებში გაწევრიანება და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა. ამჟამად, საქართველო დაახლოებით 105 საერთაშორისო ორგანიზაციის წევრია. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაწეულმა ფინანსურმა და ტექნიკურმა დახმარებამ, სხვადასხვა მიზნობრივი პროგრამების განხორციელებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გარდამავალი პერიოდის მწვავე სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში. განსაკუთრებით დიდი მოცულობის ფინანსური მხარდაჭერა განხორციელდა მსოფლიო ბანკის პროგრამების ფარგლებში.

გამომდინარე იქიდან, რომ გლობალიზაციას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ზეგავლენა სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებაზე, იმის მიუხედავად ეს ქვეყანა განვითარებულია, თუ ბევრად ჩამორჩენილი საერთაშორისო ასპარეზზე სხვა სახელმწიფოებთან შედარებით, გლობალიზაციის ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესები ზოგიერთი ქვეყნის მდგომარეობას აუმჯობესებს, ხოლო ზოგისას კი, პირიქით აუარესებს. თუმცა, უდავოა ის, რომ დღეს საქართველოსთვის, ისევე როგორც ნებისმიერი ქვეყნისთვის გლობალიზაციის ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ პროცესებში ჩაბმა მათი სამომავლო განვითარებისა და ცხოვრების დონის გაუმჯობესებისათვის წინგადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს.

ნაშრომის ***მეორე თავი*** „**კულტურათაშორისი განსხვავებები და მათი დაახლოების პრიორიტეტები საერთაშორისო ბიზნესში**“ მოიცავს სამ ქვეთავს, რომლებშიც განხილულია კულტურის არსი და მისი როლი გლობალური ბიზნესის განვითარებაში. გაანალიზებულია კულტურათაშორისი ურთიერთობები და განხილულია კულტურის ძირითადი დეტერმინანტები და მათი როლი ამ ურთიერთობებში. ამავე თავის ბოლოს ქვეთავში გაანალიზებულია საქართველოში ბიზნესის შეზღუდულობის გამომწვევი მიზეზები.

კულტურა, თავისი სტრუქტურული აგებულებით რთული და მრავალფეროვანია. ის წარმოადგენს ღირებულებათა სისტემას. სწორედ ამიტომ მისი ტიპებად დაყოფა უნდა მოხდეს ღირებულებების რაღაც ნიშნით დაჯგუფების გზით. ამ მიზნით, აღნიშნული თავის პირველ ქვეთავში განხილულია კულტურის არსი და გაანალიზებულია გარეგანი და შინაგანი კულტურის ფორმები, როგორცაა: მატერიალური, სოციალური და სულიერი კულტურის ფორმები.

კულტურას ადამიანი ქმნის, როგორც მის გარეთ არსებულ სინამდვილეში, ისე საკუთარ სულში. კულტურის საგნების ის ერთობლიობა, რაც ჩვენს გარეთაა, შეადგენს გარეგან კულტურას, ხოლო შინაგანი კულტურა ისაა, რაც უშუალოდ ჩვენი სულის შინაგან სფეროში რჩება.

ფართო გაგებით გარეგან კულტურაში მოიაზრება ყველაფერი, რაც ადამიანის ხელითაა შემქნილი და მინიჭებული აქვს ადამიანის გარეთ ფიზიკურ-მატერიალური არსებობა. იმის გამო, რომ კულტურა, საერთოდ, ჰუმანიზებული წესრიგია – გარეგანი კულტურა ადამიანის საცხოვრებელი არეალის ადამიანური ნორმებით მოწესრიგებას წარმოადგენს. ვიწრო გაგებით, გარეგან კულტურაში იგულისხმება უშუალოდ პიროვნების გარეგანი მოწესრიგებულობა: ჩაცმულობა, ვარცხნილობა, მეტყველებისა და ქცევის სტილი, მოსმენისა და დიალოგის წარმართვის კულტურა და სხვ.

შინაგანი კულტურის ზოგად ფორმად იგულისხმება სულიერი კულტურის ფორმები: ზნეობა, ესთეტიკური გრძნობა, სამართალი, ჭეშმარიტება და სხვ., ყველაფერი ეს საერთოა ადამიანთა ჯგუფისათვის, ხოლო შინაგანი კულტურის ვიწრო გაგებად იგულისხმება კერძო პიროვნების შინაგანი სულიერი მოწესრიგებულობა.

კულტურის მატერიალურ, სოციალურ და სულიერ სფეროებად დაყოფა პირობითია. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ რეალურად სადღაც გამოცალკევებულად წმინდა სახით არ არსებობს არც მატერიალური, არც სოციალური და არც სულიერი კულტურა. სინამდვილეში ვერ შეხვდებით კულტურის ისეთ საგანს, ერთდროულად რომ არ ატარებდეს მატერიალური, სოციალური და სულიერი კულტურის ნიშნებს. მთლიანობაში კი უნდა

ითქვას, რომ, რამდენადაც საერთოდ კულტურა სულიერი მოვლენაა, ამიტომ კულტურის საგნების არსება ყოველთვის მის სულიერებაში იმყოფება.

ზოგადად კულტურის მრავალი დეფინიცია არსებობს, რაც მისი ფენომენის სირთულესა და მრავალფეროვნებასთანაა დაკავშირებული. გლობალიზაციის ზეგავლენის მიუხედავად ქვეყნის, ერის კულტურა დღეს მაინც ინარჩუნებს საკუთარ ბუნებას, რადგან მას მავნე პროცესებისაგან გარკვეული სახის თავდაცვითი მექანიზმები გააჩნია. აქ გარკვეულწილად, იგულისხმება ის მახასიათებლები, რომლებიც თითოეული ერის, ეროვნული კულტურის განმასხვავებელ ნიშნებს მოიცავს (ეროვნული ხასიათი; ისტორია; ერისადმი კუთვნილების აღქმა; ენა; არავერბალური კომუნიკაცია; ღირებულებანი და ფასეულობანი; ტრადიციები და ა.შ.).

ანთროპოლოგმა ედუარდ ტეილორმა ყველაზე კარგად წარმოაჩინა კულტურის ვიწრო გაგება. მან კულტურა განსაზღვრა როგორც: „მთლიანი კომპლექსი, რომელიც მოიცავს ცოდნას, კანონებს, ჩვეულებებს და სხვა უნარებს, რომელსაც ადამიანი, როგორც საზოგადოების წევრი, ეუფლება“.

საერთო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ კულტურა არის საზოგადოებისა და ადამიანის ისტორიულად განსაზღვრული საფეხური, რომელიც გამოხატულია ადამიანის მატერიალური და სულიერი საქმიანობის შედეგებში.

ჰოფსტედესა და ნემენვირთ-ვებერის შეხედულებების გაზიარების შედეგად, კი შეიძლება დავასკვნათ, რომ კულტურა ანუ ღირებულებებისა და ნორმების იმ ერთობლიობა, რომელსაც ადამიანები იზიარებენ, განსაზღვრავს მათი ცხოვრების წესს.

ბოლო პერიოდში გავრცელებულმა ტერორისტულმა აქტებმა და მსოფლიოში მიმდინარე დამაბულმა კონფლიქტურმა სიტუციებმა მსოფლიო საზოგადოებრიობა კიდევ ერთხელ დააფიქრა კაცობრიობის მომავალსა და მის პერსპექტივაზე. მეცნიერები და პოლიტიკოსები კვლავ მიუბრუნდნენ პრობლემებს, როცა „ცივი ომის“ დასრულებამ ძირეულად შეცვალა საერთაშორისო ვითარება და ახალი რეალობის გააზრების საჭიროება წარმოშვა. მაშინ გაჩნდა ერი-სახელმწიფოთა ეპოქის აღორძინებისა თუ, სხვადასხვა ფაქტორთა ზეგავლენით, მისი საბოლოო დასასრულის სხვადასხვა ვერსიები.

ფ. ფუკუიამას აზრით, ლიბერალური დემოკრატია ადამიანთა მოდემის იდეოლოგიური ევოლუციის ბოლო საფეხურია და იგი მმართველობის უკანასკნელი და უცვლელი ფორმა იქნება, რითაც დასრულდება კიდევ ისტორია. „ისტორიის დასასრულში“ იგი გულისხმობდა არა ცდომილებათა რიგის, მოვლენათა ქრონოლოგიური თანმიმდევრობის შეწყვეტას, არამედ დასასრულს იმ ისტორიისა, რომელიც გაიაზრება ერთიან ევოლუციურ პროცესად ყველა ხალხისა და ყოველი დროის ერთობლიობაში.

კულტურულ განსხვავებებს ასევე შესწევთ უნარი, ჩამოაგდონ უთანხმოება, ისევე, როგორც მოიტანონ დიდი სარგებელი. საერთაშორისო ბიზნესის პროგრესმა კულტურული თვალსაზრისით, განსაზღვრა ახალი მოთხოვნები განსხვავებული მუშახელის შეთანხმებული მოქმედებისთვის. ასევე კულტურულ ღირებულებებს, როგორცაა: შრომის მნიშვნელობა და ყაირათიანობა, შეუძლიათ გავლენა იქონიონ ადამიანის შრომის მოტივაციაზე, რითაც შეიძლება აიხსნას სხვადასხვა ერების ეკონომიკური განვითარების განსხვავებული დონე.

აღსანიშნავია ისიც, რომ მხოლოდ კულტურაზე დაყრდნობით სწორი ადმინისტრირება არ არის მარტივი. ამ პრობლემის ნაწილი თვითონ ღირებულებათა კომპლექსურობაა. კულტურისთვის დამახასიათებელი „აზრის კოლექტიური პროგრამირების“ ფესვები, ისტორიულ მოვლენებში, გეოგრაფიაში, ტრადიციებში, ეკონომიკურ განვითარებაში, ენასა და რელიგიაში დევს. კულტურული ღირებულებები შედარებით სტაბილურ, მოკლევადიან პერიოდში მუდმივად ვითარდება. ეს ნიშნავს, რომ მენეჯერებისთვის კულტურა არის მოძრავი სამიზნე. ყველა ინდივიდი არ იზიარებს თავისი კულტურული ჯგუფის შეხედულებებს.

კულტურული განსხვავებები შეიძლება განვიხილოთ, როგორც ქცევის საერთო ნორმების ერთიანობა, რომელიც ადვილად შეიძლება დადგინდეს ხალხთან, ერებთან, ბიზნესსიტუაციებში. კულტურის შესახებ გამოკვლევები და თეორიები აქამდე იყო უძლური გადაეღაზა ყველა კულტურული ბარიერი მათი მართვის თვალსაზრისით. არსებულ თეორიებს კულტურული განსხვავებები დაჰყავს ბიპოლარულ მიდგომამდე (ინდივიდუალიზ-

მი-კოლექტივიზმი), რომელიც შემდეგ გამოიყენება ხალხის და ერების კატეგორიებად დაყოფისა და მათი კლასიფიკაციისათვის.

კულტურული ღირებულებები და ნორმები არ არის სრულად ჩამოყალიბებული. ისინი არის იმ მრავალი ფაქტორის ევოლუციური პროდუქტი, რომლებიც მოიცავს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფილოსოფიას, საზოგადოების სოციალურ სტრუქტურას, რელიგიას, ენას, განათლებას.

მეორე თავის მეორე ქვეთავში გაანალიზებულია კულტურათაშორისი ურთიერთობები თანამედროვე გლობალურ პროცესებში და განხილულია კულტურის ძირითადი დეტერმინანტები, როგორცაა: ენა, რელიგია, ეროვნული ტრადიციები და ა.შ.

გლობალიზაციის ერაში კულტურის თვითმყოფადობისა და მისი თვისებების შენარჩუნება დამოკიდებულია თავად იმ ქვეყნის, ერის, მოსახლეობის ეროვნულ სიძლიერეზე, თუ რამდენადაა ის ეროვნულად შეკრული და გაერთიანებული, რამდენად ძლიერი, ღრმაა მათი კულტურული მახასიათებლები, ისტორიული ფესვები, რამდენად ფასეულია ეს ტრადიციები, რამდენად მიიღებს მათი კულტურა გარედან შემოსულ გლობალურ გარდაქმნებს. სულ მცირე, ორ კულტურას შორის, ურთიერთგავლენის შედეგად ყალიბდება მულტიკულტურული ურთიერთობები. კულტურათა ურთიერთქმედების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ფასეულობათა, მახასიათებელთა, კულტურული აქტივობის ფორმათა შეცვლას, ახალი ორიენტირების გაჩენას, რაც გარედან მომდინარე იმპულსების გავლენით ხდება.

ადამიანთა ჯგუფები ოდითგანვე ერთმანეთს უცვლიდნენ არა მხოლოდ საგნებსა თუ საკვებს, არამედ ჩვევებსა და ტექნოლოგიებსაც. კულტურები თანდათანობით ცვლილებებს განიცდიან, მაგრამ მათ შორის არსებული განსხვავებები არ ქრება. ეს გამოწვეულია იმით, რომ კულტურული ცვლილებები მხოლოდ ზედაპირულია, ხოლო მისი ღრმა შრეები მდგრადი. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა საზოგადოებებს იდენტობის შენარჩუნების საოცარი უნარი გააჩნიათ.

კულტურათა ურთიერთქმედება ხანგრძლივი პროცესია და იგი სამ – ეთნიკურ, ეროვნულ და ცივილიზაციურ – დონეს მოიცავს. კულტურათა

ურთიერთქმედების პროცესში განასხვავებენ კულტურა-დონორს და კულტურა-რეციპიენტს. დროთა განმავლობაში ეს როლები შეიძლება იცვლებოდეს. ცნობილია ურთიერთქმედების როგორც მშვიდობიანი, ნებაყოფლობითი, ისე არამშვიდობიანი, ძალდატანებითი ფორმები. ყოველ კულტურას აქვს დაცვითი მექანიზმების მთელი სისტემა, რომელიც იცავს მას სხვა კულტურათა ზემოქმედებისაგან. კულტურათა ურთიერთქმედების პროცესისა და მისი შედეგების გადმოსაცემად გამოიყენება ისეთი ტერმინები, როგორცაა: კულტურული დიფუზია; კულტურული შოკი; ასიმილაცია; კულტურული კონფლიქტი და ა.შ.

ზოგადად, კულტურული ცვლილება გულისხმობს საზოგადოების კულტურული ნიმუშების გარდაქმნის მუდმივ პროცესს, რომელიც ყოველთვის ხორციელდება განსაზღვრულ კონტექსტსა და გარკვეულ პირობებში. მისი ტიპი და ტემპი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სხვადასხვაგვარია. კულტურული ცვლილება ეთნიკურ ერთობებში შეიძლება მიმდინარეობდეს შინაგანი და გარე ფაქტორების ზეგავლენით, რომლებიც მჭიდროდ ურთიერთქმედებენ და განსაზღვრავენ როგორც კულტურული ნიმუშების ცვლილებებს, ასევე ამ ცვლილებათა ტემპს.

კულტურის სფეროში მეტ-ნაკლები წარმატებითი კვლევისათვის აუცილებლად მიგვაჩნია გავაცნობიეროთ თუ: 1. როგორ ურთიერთმოქმედებენ ერთმანეთთან გარკვეული კულტურები; 2. როგორ ერთიანდებიან და ერწყმიან ერთმანეთს ეს განსხვავებული კულტურები, უკვე როგორც ერთი გარკვეული ეპოქის კულტურა; 3. რა განსაზღვრავს კულტურის დინამიზმს ეპოქების ცვლის დროს.

თანამედროვე მსოფლიოში ძლიერდება ინტერნაციონალიზაციისა და ტრანსნაციონალიზაციის პროცესები, რაც საბოლოო ანგარიშით ბიზნეს-სუბიექტებისათვის უცხო ქვეყნის ბაზრების ხელმისაწვდომობას ზრდის. მათი აქტივობით ღრმავდება საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის პროცესები: საერთაშორისო ვაჭრობა, კაპიტალის საერთაშორისო მიგრაცია, ტექნოლოგიების გაცვლა და სამუშაო ძალის გადაადგილება. ამ პროცე-

სებში მუდმივად ხორციელდება მუშაობა რაიმე ტიპის მულტიკულტურულ გარემოში – ოფისში, სხვა ქვეყნების კლიენტებთან ან კოლეგებთან.

საერთაშორისო ოპერაციების ზრდამ უფრო მნიშვნელოვანი გახადა და გაართულა კულტურათშორისი კომუნიკაცია. საერთაშორისო კომპანიებში ადამიანები სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები არიან, ამიტომ გათვალისწინებული უნდა იქნეს კომუნიკაციის დამყარების წარუმატებლობის შესაძლებლობაც. თუმცა, ურთიერთობაში სიძნელები შეიძლება წარმოიშვას არა მხოლოდ განსხვავებული, არამედ მსგავსი კულტურის და ენის ადამიანებს შორისაც.

საერთაშორისო ბიზნესი ეროვნული ბიზნესისაგან განსხვავდება იმით, რომ ქვეყნები და საზოგადოებები, რომლებშიც ბიზნესი ფუნქციონირებს, განსხვავებული კულტურის მატარებლები არიან. კულტურული გარემოს ფაქტორები საერთაშორისო ბიზნესში ყველაზე მეტ სირთულეებს ქმნის. კორექტულ შეფასებას მოითხოვს წარმატების მისაღწევად ადამიანების ცალკეული ჯგუფების აზროვნების სტერეოტიპებში არსებული განსხვავებები.

ადამიანებს შორის კომუნიკაცია უბრალოდ ინდივიდებს შორის აზრების გაცვლა-გამოცვლაა, კულტურა კი ამ გაცვლის პროცესის განუყოფელი ნაწილია. იგივეს გულისხმობს ასეთი მიდგომის ტ. ჰილისეული განმარტება იმის შესახებ, რომ კულტურა არის ინფორმაციის შექმნის, გაგზავნის, შენახვისა და დამუშავების სისტემა. თუ ასეთი გაცვლა წარმატებულია, მაშინ ურთიერთობებში ნაკლებად იკარგება აზრები, მყარდება და ნარჩუნდება ურთიერთობები და რჩება შემდგომი გაცვლის შესაძლებლობები.

კულტურათშორისი კომუნიკაციის განხორციელებისას შესაძლებელია ისეთი ბარიერების არსებობა, როგორცაა: აზრობრივი ბარიერები; ორგანიზაციული ბარიერები; პიროვნებათშორისი ბარიერები; ინდივიდუალური ბარიერები; ეკონომიკური, გეოგრაფიული და დროითი ბარიერები; ინფორმაციის გავრცელების საშუალებათა და არხების პრობლემები; ტექნოლოგიური ბარიერები.

უნდა აღინიშნოს ეფექტიანი კომუნიკაციისას უმთავრესია ორმხრივი უკუკავშირის ჩამოყალიბება. უკუკავშირი – ეს ის საკვანძო ფაქტორია,

რომელიც ადამიანს მოღვაწეობის გაგრძელების მოტივაციას აძლევს. ორგანიზაციის მართვის პროცესში აუცილებელია არსებობდეს ადეკვატური უკუკავშირი სხვადასხვა ეროვნებისა და კულტურების მქონე თანამშრომლებს, ხელმძღვანელებსა და ხელქვეითებს შორის.

ეროვნული ფენომენი – მსოფლიო კულტურის ერთ-ერთი ტრადიციული შენაკადი, რომელიც ათასწლეულებიდან მომდინარე მისი სრულყოფის დაუმრეტელი წყაროა და ნიადაგ ცდილობს პირველქმნილის იერის შენარჩუნებას. მსოფლიოს ისტორიამ იცის სავალალო მაგალითები იმისა, თუ როგორ შეიწოვეს ე.წ. დიდმა ერებმა მცირე ერები და მათი კულტურები. ერის გაქრობა იწყება მაშინ, როდესაც იგი კარგავს ეროვნულ ცნობიერებას, ეროვნულ თვისებებს, თვითმყოფადობას და თავისი კულტურის უპირველეს, უმთავრეს ნიშანს – ენას.

ნებისმიერი კულტურისა თუ ცივილიზაციის უმთავრესი ელემენტები ენა და რელიგიაა. ისტორიაში კულტურათა და ერთა ან მათი კულტურის რომელიმე ძირითადი დეტერმინანტის გაქრობის უამრავი მაგალითია.

ისტორიიდან ცნობილია, რომ ენის გადანაწილება ასახავდა ძალების გადანაწილებას მსოფლიოში. ყველაზე ფართოდ გამოყენებადი ენები (ინგლისური, ესპანური, ფრანგული, რუსული) არიან ან იყვნენ იმპერიულ სახელმწიფოთა ენები, რომლებიც მონდომებით ცდილობდნენ იმას, რომ ამ ენაზე სხვა ხალხებიც ამეტყველებულიყვნენ. ცვლილებები ძალთა თანაფარდობაში გავლენას ახდენს ენების გამოყენებაზე.

დღეს არადასავლურ საზოგადოებებში ორი სახის ტენდენცია შეიმჩნევა. ერთი მხრივ, ინგლისური სულ უფრო და უფრო აქტიურად გამოიყენება საუნივერსიტეტო დონეზე, რათა გამოუშვან მომზადებული კადრები, რომლებიც შეძლებენ სავაჭრო და სამომხმარებლო სფეროში საერთაშორისო კონკურენციის პირობებში ნაყოფიერ მოღვაწეობას. მეორე მხრივ, სოციალური და პოლიტიკური ზეწოლა იწვევს ადგილობრივი ენების შემოსვლას საყოველთაო ხმარებაში.

ეროვნული საზღვრებისა და გეოგრაფიული დაბრკოლებების მსგავსად, ენა ზღუდავს ხალხის კონტაქტს სხვა კულტურებთან. კულტურა

უფრო ადვილად ვრცელდება მაშინ, როდესაც სხვადასხვა ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხი ერთსა და იმავე ენაზე ლაპარაკობს. ამით აიხსნება ის, რომ ინგლისურენოვან, ესპანურენოვან ქვეყნებს შორის მეტი კულტურული ერთგვაროვნებაა, ვიდრე ცალკე აღებულ თითოეულ მათგანში. როდესაც პატარა გეოგრაფიულ არეალში თავმოყრილმა ხალხმა იცის მხოლოდ ერთი ენა, რომელიც შედარებით ნაკლებ ადამიანს ესმის, ის სხვებთან მცირე კონტაქტის გამო, ცდილობს, თავისი კულტურის ერთგული დარჩეს.

რელიგია ადამიანში ამკვიდრებს სულიერების პრიორიტეტს სოციალურ, ესთეტიკურ და სხვა ღირებულებით ორიენტირებასა და რეგულატორებზე, უპირისპირებს მათ რწმენის, იმედის, სიყვარულის სოციალურად ორიენტირებულ საერო ღირებულებებს. მისი ძირითადი ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ ნორმებს, ღირებულებებს, სახეებს მიანიჭოს აბსოლუტურობის, უცვლელობის სტატუსი, რაც ადამიანური ყოფის, სოციალური ინსტიტუტებისა და ა.შ. დროულ-სივრცულ კოორდინატებზე არ არის დამოკიდებული. ეს ფუნქცია ხორციელდება ადამიანის სულიერი ცხოვრების ჩამოყალიბებით.

დღეისათვის მსოფლიოში 200-ზე მეტი რელიგია არსებობს და ყველა ისინი მსოფლიო და ეროვნულ რელიგიებად იყოფა (მათ შორის ყველაზე გავრცელებულია: ქრისტიანობა, ისლამი და ბუდიზმი), რომლებიც ერთმანეთისგან სიძველით, ტრადიციებით, შინაარსით, ფილოსოფიური სიღრმით განსხვავდება.

რელიგიისა და საზოგადოების თანაფარდობა სოციალური ქცევის მოტივაციაში რელიგიის როლის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს. რელიგია არის სოციოკულტურული კავშირების რგოლი, რომლის ფუნქციონირება საშუალებას გვაძლევს გავიგოთ მათი სტრუქტურა და წარმოქმნის მიზეზები. სხვადასხვა პერიოდში რელიგიურ ჯგუფებს სურდათ გავლენის მოხდენა თავიანთი მიმდევრების ეკონომიკურ შეხედულებებსა და ქცევაზე. ამ პროცესში ისინი აწყდებოდნენ სხვადასხვა ხასიათის დილემას: ერთი მხრივ, რელიგიური თვალსაზრისით სიღარიბე ითვლებოდა სათნოებად. მეორე მხრივ კი, როგორც კი რელიგიური ჯგუფის ორგანიზაცია ხდება

უფრო რთული, წარმოიქმნება პრობლემა – მისი საქმიანობისთვის საჭიროა სახსრების მოძიება, მაშინ რელიგიური ჯგუფი ერთვება ეკონომიკურ საქმიანობაში. ის მოითხოვს თავისი მიმდევრებისაგან შესაწირს, ამრიგად რელიგია აქტიურ ზეგავლენას ახდენს ეკონომიკის სფეროზე.

საინტერესო ფაქტია ის, რომ ქრისტიანული ქვეყნები 5-ჯერ უფრო მდიდრები არიან, ვიდრე მსოფლიოს ყველა დანარჩენი ქვეყნები. სხვა რელიგიებთან და იდეოლოგიებთან შედარებით ქრისტიანობა ყველაზე დადებით გავლენას ახდენს მსოფლიო ქვეყნების ეკონომიკაზე. რელიგიის აქტიური ზეგავლენა შეინიშნება ასევე ბანკებში, რომლებიც ეკონომიკური სფეროს განუყოფელ ნაწილს. ჩატარებულმა კვლევებმა გვიჩვენეს, რომ პროტესტანტებს უფრო მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა გააჩნიათ ბანკებთან ურთიერთობის პროცესში, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ რელიგია წარმოადგენს პიროვნების განუყოფელ ნაწილს და ბევრად განსაზღვრავს ადამიანის ქცევას საზოგადოებაში.

2003 წელს, ამერიკაში, ეკონომიკური კვლევის ნაციონალურ ბიუროში ჩატარდა კვლევა რელიგიისა და ეკონომიკური ზრდის კავშირის შესახებ (Religion and Economic Growth) (კვლევა ეფუძნება 1960 წლიდან დაწყებულ დაკვირვების მონაცემებს, ჩატარებულს დაახლოებით 100 ქვეყანაში). ეკონომისტების, რობერტ ბეროსა და რეიჩელ მაკკლეარის მიერ ჩატარებული ამ კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ ღრმა რელიგიური რწმენა სტიმულს აძლევს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას.

ჩემი აზრით, ძნელია დაეთანხმო ზემოთხსენებულ მეცნიერებს მათ დასკვნებში, თუ გავანალიზებთ ამ მოსაზრებას საქართველოს მაგალითზე.

მე ჩავატარე პატარა კვლევა, რომლის შედეგადაც ჩანს, რომ საშუალოდ, კვირის განმავლობაში მორწმუნე ადამიანი ეკლესიაში ატარებს მინიმუმ 7 საათს, თვეში 28 საათს, წელიწადში 336 საათს. საქართველოში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 76,7 წელია, თუ ვივარაუდებთ, რომ ადამიანი ეკლესიაში 12 წლის ასაკში იწყებს აქტიურად სიარულს და შესწევს ფიზიკური და სულიერი უნარი სისტემატიურად იაროს ტაძარში 65 წლამდე, მაშინ მისი სიცოცხლის მანძილზე ტაძარში ყოფნის პერიოდი

გამოვა 17,808 საათი, ანუ 742 დღე, ეს კი დაახლოებით 2 წელიწადია. შესაძლოა, მკვლევარებს სწორედ დროითი რესურსის ხარჯვაც ჰქონდათ მხედველობაში. ეს დრო შესაძლებელია მოხმარდეს საზოგადოებრივ საქმიანობას, თვითგანვითარებას, სწავლას, კვალიფიკაციის ამაღლებას, შრომას, წარმოებას და ა.შ. ეს დამოკიდებულება ცალმხრივია, შევეცადოთ რელიგიისა (ამ შემთხვევაში ქრისტიანობის) და ეკონომიკური ზრდის კავშირი სხვა კუთხიდან დავინახოთ.

ქრისტიანული სწავლება ქრისტიანთათვის წმინდათა-წმინდაა, ყოველი ქართველი ქრისტიანი უნდა ითვალისწინებდეს და მისდევდეს ქრისტეს მცნებებს. ცხადია, რომ ის ადამიანები, რომლებიც სისტემატიურად დადიან ეკლესიაში და ესწრებიან ლოცვებსა და წირვებს, მეტად ითვალისწინებენ სარწმუნოებრივ პრინციპებს, თუ ეს ასეა, ზემოთ ხსენებული 2 წელიწადი, რომელსაც ადამიანი უძღვნის ეკლესიას, ფუჭად არ არის დაკარგული. დავფიქრდეთ, თუ მორწმუნე ადამიანმა გაითავისა ის, რომ არ უნდა მოიპაროს, არ უნდა გააფუჭოს, არ მოკლას, შეურაცხჰყოფა არ მიაყენოს და არ გააკეთოს ბევრი უარყოფითი, ეს როგორ აისახება ქვეყნისა და ერის მდგომარეობაზე? რა თქმა უნდა დადებითად. თითოეული ქართველი თუ შეიზღუდავს თავს რელიგიურად და მიხვდება, რომ არ მოპაროს სახელმწიფოს, გადაიხადოს გადასახადები პირწმინდად, არ დააზიანოს საზოგადოებრივი მატერიალური ფასეულობები, არ ჩაერთოს კორუფციაში და ა.შ. ეს ქვეყნის წინ სვლის საფუძველია.

მეორე თავის მესამე ქვეთავში გამოვლენილია საქართველოში ბიზნესის შეზღუდულობის მიზეზები, რომლებიც მსოფლიოს ქვეყნებისაგან განკერძოებაში უნდა ვეძებოთ. საქართველოში თანამედროვე ბიზნეს-კულტურის განვითარება ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დაიწყო.

საქართველოს ბიზნესკულტურის კვლევები ძირითადად ეხება კორპორაციული კულტურის ელემენტებს. ამასთან, არ არის შესწავლილი ის სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც განსაზღვრავენ საქართველოში ბიზნესის დეგრადაციის ხარისხს. მკვლევარების მიერ დადგენილია, რომ

ბიზნესისათვის დამახასიათებელია არამდგრადი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებისადმი ანალიტიკურ-პროგნოსტიკური მიდგომა და, რაც უფრო მართებულია ეს მიდგომა, მით უფრო სტაბილურია ბიზნესი.

ხელსაყრელი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემო მნიშვნელოვნად მოქმედებს ბიზნესზე, რამდენადაც პირდაპირ ზეგავლენას ახდენს რესურსების ეფექტიან განაწილებაზე. მძაფრი გლობალური კონკურენციიდან და დინამიური ეკონომიკური განვითარების პროცესებიდან გამომდინარე, ბიზნესის მოთხოვნები სწრაფად იცვლება. შესაბამისად, სამეწარმეო და საინვესტიციო გარემო წარმოადგენს ბიზნესის მეტად მნიშვნელოვან ფაქტორს. საქართველოში ამ მხრივ შექმნილი მდგომარეობა დამაფიქრებელია და იწვევს არასტაბილურობის განცდას.

ქვეყანაში ეკონომიკის ლიბერალიზაციისკენ მიმართული რეფორმების შედეგად, აღმოიფხვრა ბიუროკრატიული ბარიერები და შემცირდა საგადასახადო ტვირთი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ კუთხით ქვეყანაში კიდევ ბევრი პრობლემა აღმოსაფხვრელი. საქართველოში ბიზნესის წარმოების ცალკეულ სფეროებში არსებობს პრინციპული ხასიათის პრობლემები, რაც ხელს უშლის კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას.

დღეისათვის კვლავ პრობლემად რჩება ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფა, ასევე გადახდისუუნარობასთან, კომერციული დავების გადაჭრასა და ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები. არსებული სირთულეები აუარესებს სამეწარმეო გარემოს, ამცირებს ინვესტორთა ნდობას და ნაკლებეფექტიანს ხდის ადგილობრივ ბიზნესს.

ბიზნესის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ მიწოდებულ მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის ზრდა და ასევე, ადმინისტრაციულ პროცედურებზე გაწეული დროითი დანახარჯების შემცირება. ამ მიზნით აუცილებელია სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ გაწეული მომსახურების გაუმჯობესება, ელექტრონული ტენდერების სისტემების, ელექტრონული მმართველობის სისტემის გაფართოება.

ქვეყანაში არ არის შექმნილი ინოვაციური ეკონომიკის პირობები, რაც განსაზღვრავს წარმოებული პროდუქციის დაბალ კონკურენტუნარიანობას. ქვეყანაში ინოვაციის დონე ჯერ ისევ არაა დამაკმაყოფილებელია, დაბალია როგორც სახელმწიფო ასევე კერძო სექტორის დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე.

ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება კერძო სექტორის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია. ამ კუთხით, ქვეყანაში არსებობს ორი ძირითადი შემაფერხებელი პრობლემა: პირველი, ქვეყნის ბიზნესი ვერ გამოიმუშავებს ინვესტიციებისთვის საჭირო მოცულობის შიდა რესურსებს და მეორე, არასათანადოდ განვითარებული ფინანსური ინსტიტუტები ვერ უზრუნველყოფენ ფინანსური შუამავლობის ეფექტიან განხორციელებას.

ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს ადამიანური რესურსების განვითარება და არსებული პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება. ამ მხრივ შეძლება გამოიყოს რამდენიმე ძირითადი მიმართულება, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან რეფორმების აქტიურ განხორციელებას მოითხოვს. ეს მიმართულებებია: შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული სამუშაო ძალის განვითარება და სოციალური უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფა.

საკვლევი თემის მესამე თავი „კულტურათაშორისი ინტეგრირება და საერთაშორისო ბიზნესის კროსკულტურული განვითარება“ მოიცავს ოთხ ქვეთავს.

აღნიშნული თავის პირველ ქვეთავში ყურადღება გამახვილებულია გლობალური და ადგილობრივი ბიზნესის კულტურულ და კროსკულტურულ თავისებურებებზე. მასში განხილულია საერთაშორისო ბიზნესში ორგანიზაციული კულტურის თავისებურებანი, საერთაშორისო ბიზნესის გარემოს კროსკულტურული ასპექტები და ბიზნეს-გარემოს ეროვნულ-კულტურული მოდელები.

რამდენადაც ჩვენი ინტერესის საგანს საერთაშორისო ბიზნესის სოციოკულტურული გარემოს კვლევა წარმოადგენს, გაანალიზებული და ურთიერთშედარებულია სხვადასხვა ქვეყნების კულტურათა თავისე-

ბურებები. წარმოდგენილია საერთაშორისო ბიზნესის ის კროსკულტურული ასპექტები, როგორცაა: საქმიანი ეთიკისა და ეტიკეტის თავისებურებები და კომუნიკაციური განსხვავებები ადამიანებს შორის, რაც ამა თუ იმ კულტურის განსხვავებათა მიზეზების გარკვევის საშუალებას გვაძლევს. მესამე ქვეთავში კი მოცემულია სხვადასხვა ქვეყნის ბიზნეს გარემოს ეროვნულ-კულტურული მოდელები.

მესამე თავის მეორე ქვეთავში განხილულია სოციოკულტურული გარემო და ბიზნეს-მენეჯმენტის თავისებურებები, ყურადღებაა გამახვილებული ინდივიდუალისტურ და კოლექტივისტურ საზოგადოებების თავისებურებებზე. ასევე, ჰოფსტედეს თეორიიდან გამომდინარე, დახასიათებულია საქართველოს ეროვნული კულტურის გამოვლინების ის ფორმები, რაც განაპირობებს მენეჯმენტის თავისებურებებს.

ხაზგასმული და განხილულია კლასტერული პოლიტიკის მნიშვნელობა ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად, და დასაბუთებულია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ განხორციელებული საქმიანობის როლი კლასტერებისა და ქსელური ურთიერთკავშირების ორგანიზაციისა და განვითარების სტიმულირების მიზნების, პრინციპებისა და მეთოდების შესამუშავებლად.

მესამე თავის მესამე ქვეთავში განსაზღვრულია ორგანიზაციული კულტურის ტრანსფორმირების ძირითადი ორიენტირები.

ჩვეულებრივ, ორგანიზაციაში კულტურის გონივრული ცვლილებები ერთიანი პროცესით ხორციელდება და ამ პროცესის ძირითად ეტაპებს წარმოადგენს: 1. კულტურის ცვლილების საჭიროების აღმოჩენა; 2. სათანადო ტრენინგების პროცესი; 3. კულტურის ცვლილებების პროექტის დანერგვა; 4. გაზომვადი შედეგის მიღწევა.

კულტურის შეცვლის პროცესი პირველ ეტაპზე საჭიროებს არსებული კულტურის ხარვეზების ანალიზს და იმის გარკვევას, თუ რომელი სფერო საჭიროებს ცვლილებებს. მის შემდგომ ეტაპზე ცვლილებების განმახორციელებელი პირები და კონკრეტული მიზნობრივი ჯგუფები იმაღლებენ კვალიფიკაციას აღნიშნულ საკითხებში, რომელიც ძირითადად ტრენინგების

სახით ხორციელდება. ტრენინგების საფუძველზე მიღებული ცოდნის შესაბამისად ხდება ორგანიზაციული კულტურის ცვლილებების პროცესის დანერგვა, შემდეგ კი ხორციელდება შედეგების გაზომვა – ცვლილებათა განხორციელების შედეგად მიღებული ეფექტიანობის შეფასება.

იმისათვის, რომ კულტურული ტრანსფორმაციის პროცესის განხორციელება ნაკლებად მტკივნეულად მოხდეს არჩეულ უნდა იქნეს ცვლილებებისა და წინააღმდეგობების შემცირების სტრატეგიები: თანამშრომლებისათვის ცვლილებების აუცილებლობის დასაბუთება; მენეჯმენტის შეცვლა; რეორგანიზაცია; ტრადიციების განახლება; თანამშრომლების შერჩევის, სოციალიზაციის, მოტივაციისა და შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემების შეცვლა; ძველი ტრადიციების აღმოფხვრისა და ტრანსფორმაციის მეთოდების შემუშავება.

ორგანიზაციული კულტურის ტრანსფორმაციის პროცესში წინააღმდეგობათა დაძლევა შედარებით ადვილია, როდესაც ორგანიზაცია მნიშვნელოვანი კრიზისის წინაშეა, იცვლება ორგანიზაციის მენეჯმენტი, როდესაც ეს ცვლილებები ხორციელდება ახალგაზრდა და მცირე ზომის კომპანიებში, რადგან სუსტი ორგანიზაციის კულტურის მქონე ორგანიზაციები ადვილად იტანენ მსგავს ცვლილებებს, რისი თქმაც შეუძლებელია ძლიერი ორგანიზაციული კულტურის არსებობის შემთხვევაში.

აღნიშნული თავის მეოთხე ქვეთავში კი განსაზღვრულია გლობალიზაციის სოციოკულტურული გარემოს ასპექტები საქართველოში.

დღეს, დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობის პირობებში, საქართველოს წინაშე დგას ახალ ვითარებასთან შეგუებისა და სწორი ორიენტაციის საკითხი, რომელიც გლობალურ სამყაროსა და გლობალურ ეკონომიკაში ჩართვის აუცილებლობას მოითხოვს. გლობალიზაციის სოციოკულტურული გარემოს სოციალურ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს – უთანსწორობა, პოლარიზაცია, სიღარიბე, სიღატაკე, დასაქმება, უმუშევრობა, ჯანდაცვა და ა.შ.

ნაშრომის ბოლოს მოცემულია დასკვნები და რეკომენდაციები, რომლებიც, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია საერთაშორისო

ბიზნესის სოციოკულტურულ გარემოს სწორად შეფასებისა და მართვისათვის.

დასკვნა

გლობალიზაციის პროცესში ეროვნული ეკონომიკების ურთიერთდამოკიდებულების ზრდის საფუძველს წარმოების ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს, მისი განმსაზღვრელი ფაქტორი კი კულტურათმორისი ურთიერთობებია. დღეს საერთაშორისო ბიზნესი ქვეყანათა საზღვრებს კვეთს და, შესაბამისად, იზრდება კულტურული მრავალფეროვნება, რის შედეგად რთულდება ბიზნესის წარმოება და წარმატებული ბიზნეს-საქმიანობისათვის აუცილებელი ხდება კროსკულტურული მიდგომების გამოყენება.

საერთაშორისო მეწარმეობის წარმატებული საქმიანობისათვის თანამედროვე მსოფლიოს მიმდინარე პროცესებში აუცილებელ პირობას წარმოადგენს ისეთი ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბება, რომელშიც ოპტიმალურად იქნება ასახული ეროვნული კულტურების თავისებურებანი. აქედან გამომდინარე, აუცილებელია გავითვალისწინოთ ეროვნული ფსიქოლოგია, ტრადიციები, რელიგიური თავისებურებები, კონკრეტული ქვეყნების წეს-ჩვეულებები, პირადი ჩვევები, ჟესტები, მიმიკა და ა.შ.

შეიძლება ითქვას, რომ ორგანიზაციაში მომუშავე ყველა პიროვნებას თავისი წვლილი შეაქვს ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებაში. თავად ორგანიზაციული კულტურა, როგორც დამოუკიდებელი ფაქტორი მნიშვნელოვანი ერთიანობით ხასიათდება და ძლიერ ზეგავლენას ახდენს არა მხოლოდ თითოეულ თანამშრომელზე, არამედ მთლიანად ორგანიზაციის წარმატებაზე.

ორგანიზაციული კულტურა, როგორც ეროვნული კულტურის შემადგენელი ნაწილი, თავისი თავისებურებებით გამოირჩევა და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინდივიდუალურია თითოეული ორგანიზაციისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეული ორგანიზაციების დონეზეც კი იგი არ წარმოადგენს მონოლითურ ბლოკს და ყოველი ორგანიზაციის სტრუქტურაში

შედის სხვადასხვა სუბკულტურები. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს მრავალეროვნულ ორგანიზაციებში, რადგან სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს სხვადასხვა კულტურა გააჩნიათ. ასე რომ, განსაკუთრებით მრავალეროვნული ორგანიზაციების წინაშე მდგომ ერთ-ერთ მთავარ ამოცანს წარმოადგენს მის შემადგენლობაში შემავალი კულტურებისა და მასში მომუშავე სხვადასხვა კულტურის მქონე ადამიანების დაახლოვება.

კულტურათშორისი კომუნიკაციების მნიშვნელობის აღიარების საფუძველზე ბიზნესკომუნიკაციების სფეროში ჩატარებული კვლევების შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ ეფექტიანი კომუნიკაციები აუმჯობესებენ მრავალ ფაქტორს, რაც მნიშვნელოვანია საერთაშორისო კომპანიების ეფექტურობისათვის. აქედან ცხადია, რომ მისი მართვის ცნება მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ ხელმძღვანელებმა გაზარდონ ხელქვეითებთან, მომხმარებლებთან, მიმწოდებლებთან და ა.შ. კომუნიკაციის ხანგრძლივობა. ამ ჯგუფებს შორის კომუნიკაციების დახვეწა ბევრად უფრო ავითარებს არაფორმალურ კომუნიკაციებს, რომელიც მართვის პროცესში სტიმულად იქცევა და დიდ როლს ასრულებს ორგანიზაციის წარმატებაში.

გლობალური ბიზნესის რეალიზება დაფუძნებულია საქონლისა და კაპიტალის გასვლის თავისუფლებაზე და ბაზრების ურთიერთდაკავშირებულობა, როგორც ასეთი, ნიშნავს იმას, რომ ერთი გეოგრაფიული არეალის კრახმა შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს სხვებზე. გლობალიზაციის პირობებში კომპანიებს შეუძლიათ აწარმოონ თავიანთი პროდუქცია, ანუ გადაიტანონ საწარმოო პროცესი, ადგილებში, სადაც დანახარჯები წარმოების ფაქტორებზე ნაკლები იქნება.

თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და ბიზნესის განვითარებაში დაგროვილი მიღწევების შედეგად იკვეთება მომავლის ბიზნესის კონტურები. ბუნებრივია, ეს ბადებს ახალ შესაძლებლობებსა და მოთხოვნებს საერთაშორისო სამეწარმეო ურთიერთობებში ჩაბმული კომპანიების ხელმძღვანელებისა და ბიზნესმენების მიმართ. ხვალინდელი ლიდერი ვალდებული იქნება შორს გაიხედოს, სხვადასხვა ქვეყნის ენების, ტრადიციების, კულტურებისა და ა.შ. გათვალისწინებით წინასწარ განსჭვრიტოს

არაორდინალური შესაძლებლობები. რაც არ უნდა დიდი იყოს კონტრასტი ტრადიციულსა და „თანამედროვე“ საზოგადოებებს შორის, წარმატებული მოდერნიზაცია შეიძლება მოხდეს ტრადიციული რეგულაციის ზოგიერთ ელემენტზე დაყრდნობით, რომელთაგან მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციოკულტურული გარემო. ეს იმას ნიშნავს, რომ თანამედროვე საზოგადოების წარმატებული ფუნქციონირება დიდად არის დამოკიდებული შესაბამისი ტრადიციული წინაპირობების არსებობაზე, თანამედროვე სისტემაში მათ ჩართვასა და გამოყენებაზე.

ინფორმაცია ნაშრომის აპრობაციის შესახებ

დისერტაციის ძირითადი შინაარსი გამოქვეყნებულია შემდეგ შრომებში:

1. „საქართველოს ეკონომიკის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების პერსპექტივები“ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“, №1, 2015, გვ. 42-44.
2. „კულტურათაშორისი ურთიერთობები გლობალურ ბიზნესში“ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა“, №1-2, 2016, გვ. 42-48.
3. „გლობალიზაცია სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა“, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“, №1-2, 2016, გვ. 18-19.
4. „საქართველოს გლობალურ ბიზნესში“. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“, №1-2, 2016, გვ. 48-49.

მოხსენიებულია სამ კოლოქვიუმში:

1. „კულტურათაშორისი ურთიერთობების როლი გლობალური ბიზნესის განვითარებაში“ – 17.02.2015.
2. „კულტურათაშორისი კომუნიკაციები საერთაშორისო ბიზნესში“ – 10.07.2015
3. „გლობალურ ბიზნესში კულტურული განსხვავებების გათვალისწინება“ – 17.02.2016.

და ორ სემინარში:

1. „გლობალიზაციის თავისებურებები და თანამედროვე ტენდენციები“
– 16.02.2015
2. „განვითარებადი ქვეყნები მსოფლიო ეკონომიკაში“ – 11.07.2015

მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში:

1. „გლობალიზაცია და ეკონომიკური უსაფრთხოება კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის პირობებში“. მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ“, სტუ, თბილისი, 2014. 17-18 ოქტომბერი.
2. „მენეჯმენტი - ქართული სინამდვილე“. პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „თანამედროვე მენეჯმენტი: პრობლემები, ჰიპოთეზები, კვლევები“. ბათუმი, 2015, 24-25 ივნისი.
3. „ბიზნესის სუბიექტების კონკურენციული სტრატეგია და ტაქტიკა“. მესამე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ“, სტუ, თბილისი, 2015. 16-17 ოქტომბერი.